ფერადო (მზის კაცი)

არავინ იცის, საიდან გამოჩნდა ერთ მშვენიერ დღეს სოფელში ეს უცნაური კაცი, უცხო გარეგნობის, წითურ თმა-წვერგაბურძნული, ხმელ-ხმელი, მაღალ-მაღალი, მზით გარუჯული, თუთიყუშური სიჭრელის სამოსში გამოწყობილი, ძალიან ღრმა, გამჭვირვალე მზერით, რომლის ცალი თვალი ციფერი იყო და ცალი- მწვანე. კაცი სოფლის განაპირას, მეტყევის მიტოვებულ ქოხში დაბინავდა და პირველივე დღიდან სოფლის ცნობისმოყვარეთა ყურადღება მიიქცია, რადგან ყველას, თვით ყველაზე ყოჩაღ სოფლელებსაც კი, ასწრებდა გაღვიძებას და ახალი დღის დაბადების ხილვას. შედგებოდა ქოხის წინ პატარა ამაღლებულ გორაკზე და ელოდა მზის ამოსვლას... კაცს, უცნაური, აქამდე ჯერარნახული, მასალა ჰქონდა სოფელში ჩამოტანილი. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ფანჯრის მინას ჩამოჰგავდა პრიალა ზედაპირითა და გამჭვირვალობით. თავდაპირველად, კაცმა ამ მასალით თავისი ქოხის ფანჯრების მინები ამოცვალა და სარკესავით აელვარდა მეტყევის სიძველისაგან ნახევრად დაშლილი ბუდრუგანა. ამოვიდოდა მზე და გაბრწყინდებოდა ქოხი ტყის პირას...

დამავიწყდა მეთქვა, რომ სოფლის განაპირას შრიალებდა ხშირი, დაბურული ტყე, რომელსაც გზა ორ ნაწილად ჰყოფდა. ამ გზით უამრავი ადამიანი მოგზაურობდა, რადგან ის არაერთ სოფელსა და ქალაქს აკავშირებდა ერთმანეთს და, მიუხედავად იმისა, რომ გზა ძალიან საჭირო და სასარგებლო გამოგონებაა ადამიანისათვის, სოფელს მიაჩნდა, რომ ამ გზაზე მეტად ის ტყე ფასობდა, რომელიც წინაპართაგან ერგოთ უძირფასეს მემკვიდრეობად და რომელსაც არაერთი ლეგენდა, მითი, ისტორიული ფაქტი, ნამდვილი თუ გამონაგონი ამბავი უკავშირდებოდა. ეს კაციც ამ გზით მოვიდა სოფელში, საიდან - არავინ უწყოდა, არც ის იცოდნენ, რამდენ ხანს აპირებდა აქ დარჩენას...უბრალოდ, მოვიდა, მოეწონა აქაურობა და დარჩა...თანაც მივიწყებული ქოხი გაანათა და გააცისკროვნა, ეს უცნობი მასალა თურმე, მზის ენერგიას ინახავდა და კაცს საკუთარი ელექტრობის გამომუშავება შეეძლო დღის განმავლობაში, ამიტომ სულ ტყუილად გაეხარდა სოფლის სავაჭრო ფარდულის დახლიდარ ცვატას, მდგმურის დასახლებით, სანთელს და ლამპის ნავთს ზედმეტი მყიდველი გამოუჩნდაო... რაც ფანჯრები ამოცვალა, კაცს არც სანთელი დასჭირვებია და მით უფრო ნავთი...თუმცა, სინათლეც ჰქონდა და სითბოც, და თან, ყოველივე უფასოდ.

არავის ახსოვს, თავდაპირველად სოფლის მამაკაცები დაინტერესდნენ ამ ახალი გამოგონებით, თუ დედებმა და ცოლებმა არ მოასვენეს სახლიკაცები და ერთ მშვენიერ დღეს პატარა ჯგუფი მიადგა კაცის ქოხს და სარკმლებს თვალიერება დაუწყო... თითოეული მინა სარკესავით ელავდა მზის სხივზე და თან, სარკისაგან განსხვავებით, სინათლესაც ატარებდა. ფარდები სულაც აღარ იყო საჭირო, გარედან ვერაფერს დაინახავდით, თუ რა ხდებოდა ქოხში, სამაგიეროდ, ქოხიდან შესანიშნავად ჩანდა მიდამო. კაცი დიდხანს უხსნიდა სოფლელებს ამ მასალის ავ-კარგს, მის უპირატესობას უწინდელ მინასთან შედარებით. სოფლელთა ენა კაცმა არ იცოდა, სოფელმა კი კაცის წარმომავლობა და, შესაბამისად, ცოტა გაჭირდა ერთმანეთის სათქმელის ბოლომდე აღქმა და გაგება, მაგრამ როცა საუბარი დასრულდა, ცხადი გახდა, რომ სტუმრად მოსულმა მასპინძლებმა ერთი მარტივი რამ გაიგეს და საკუთარი თვალით დარწმუნდნენ, რომ ეს უცნაური სიახლე მხოლოდ სიკეთეს მოუტანდა მათ ოჯახებს, რომლებიც არც თუ წელგამართულნი და ბედნიერნი იყვნენ სოფლის შესანიშნავი ადგილმდებარეობის და ბუნებრივი სიმდიდრის კვალობაზე.

ტყეში საოცარი ხეები და მცენარეები იზრდებოდა, იშვიათი, ძვირფასი ჯიშებიც და ფართოდ გავრცელებული უმნიშვნელო ბალახ-ბულახიც, სადაც არ უნდა წახვიდე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გხვდება მცოდნე თვალს. ულამაზესი სურნელოვანი ყვავილები ყვაოდნენ და ათას მწერს იზიდავდნენ, ტყეში ნახევრად ჩამოშლილ ეკლესიის ნაშთებსაც იპოვიდა თავგადასავლების მიზანსწრაფული მოყვარული, როგორც სჩანს, აქ ოდესღაც რელიგიის მსახურნი ცხოვრობდნენ და თავის საღვთო საქმეს ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში ასრულებდნენ. ამ ტაძართა ნაშთებისკენ საცალფეხო ბილიკები მიიკლაკნებოდნენ, რომელთაც დროდადრო პატარა წყაროები ან სანახევროდ დამშრალი მცირე ხევები კვეთდნენ, ვიღაცას ერთ დროს რიყის მოზრდილი ქვები მიმოეფანტა, რომელნიც დროს ხავსით დაეფარა და მოხეტიალე მოგზაურს ფეხის დაუსველებლად შეეძლო ხტომა-ხტომით მათი გვერდის ავლა, ან სულაც გადალახვა. შესანიშნავი ტურისტული მიზიდულობის ეგზოტიკური გარემოს შექმანზე ბუნებას თავად ეხრუნა და მას ადამიანის ხელის შევლებაღა აკლდა სრული კომფორტისათვის...კაცი ლამის ყოველ დღე გადიოდა ტყეში და მშვიდად, დაკვირვებით ათვალიერებდა სათითაო ხესა და ბუჩქს, გადაჭრილ კუნძსა და ნაკადულს. არსად ეჩქარებოდა, არსად აგვიანდებოდა. თითქოს ვიღაცას ან რაღაცას ელოდა, მაგრამ ვის ან რას? მის ყურთასმენას დროდადრო გზაზე დიდი სისწრაფით მიმავალი მანქანის მუხრუჭების ხმა იტაცებდა და კაცი ცდილობდა, ამ ხმის მიხედვით გამოეცნო, მსუბუქმა ავტომობილმა ჩაიარა, თუ სატვირთომ, მოტოციკლმა თუ სამგზავრო მიკროავტობუსმა... ეს გამოცნობანა განსაკუთრებულად ართობდა და ახალისებდა. ჩამოჯდებოდა რომელიმე გადაჭრილ კუნძზე, ან მიწიდან ამოყრილ ფესვზე, ამოიღებდა ჯიბის პატარა ჯაყვას და ტყეში ნაპოვნი ტოტებიდან სხვადასხვა ფიგურებს თლიდა,.. ეს მისი საყვარელი საქმიანობა იყო, ფიგურები შინ მიჰქონდა და ლაქის საღებავით ფერავდა. მერე მიჰქონდა სოფლის პატარა ფარდულში და გასაყიდად აბარებდა, უფრო სწორედ კი, სასმელ-საჭმელზე ცვლიდა. კვება ხომ ყოველდღე სჭირდება ადამიანს და ამდენად დახლიდარ ცვატასაც იმდენი „ტყის ნობათი“ მოუგროვდა სუვენირად, რაოდენობით გადაასწრო თაროზე შემოწყობილ პლასტმასის უხარისხო სათამაშოებს, რადგან სოფლელებს ძალიან მოსწონდათ ეს ხის ფიგურები: ციყვები, კურდღლები, შვლები, ცხენები, კატები, ძაღლები, ცხვრები და გოჭები, შიგადაშიგ ერთი-ორი ქვეწარმავალიც გამოერეოდა კოლექციაში... გამორჩეული მოთხოვნილება კი ხის ციცქნა მანქანებზე და მუნდშტუკებზე იყო... მანქანები, ძირითადად, პატარა ბიჭებს მოსწონდათ, მუნდშტუკები კი - სოფლის სტაჟიან მწეველებს, რადგან ცვატა, მხოლოდ უფილტრო პაპიროსებით ამარაგებდა ფარდულს. უფილტრო პაპიროსი იაფი იყო, ხოლო სოფელი, როგორც უკვე ვთქვი, - არცთუ შეძლებული. კაციც თლიდა თავის ხის სათამაშოებს და ჩაბარებული არ ჰქონდა ფარდულში, უკვე ახალი შეკვეთა მოდიოდა სოფლის მაცხოვრებლებისაგან... ადამიანები ნელ-ნელა შეეჩვივნენ ამ უცხო ადამიანს და რადგან მისი ენა არ იცოდნენ, შეხვედრისას მდუმარედ , თუმცა კეთილი ღიმილით ესალმებოდნენ, ზოგი, ასაკიანი ქუდსაც კი იხდიდა პატივისცემის ნიშნად, ქალები დაკვირვებით ათვალიერებდნენ მის ფერად სამოსს და რაღაცას ერთმანეთს უზიარებდნენ ფარული სიცილით...ამ სოფელში ხომ ფერადი ტანსაცმელი მხოლოდ ბავშვებს ეცვათ, დანარჩენები, დიდიან-პატარიანა შავ, ან უკეთეს შემთხვევაში რუხ სამოსში დადიოდნენ... რატომ? - ვინ იცის?... წესად მოსდგამდათ რატომღაც, იქნებ წინაპართაგან... ან იქნებ იმიტომ, რომ არც არაფერი ჰქონდათ სამხიარულო და საფერადო...მხოლოდ მოელვარე ქოხი, რომელიც სოფლის უსახურ სახლებს შორის ბრწყინავდა, როგორც ალმასის დაუმუშავებელი წიაღისეული... და სოფელმა კაცს ზედემტ სახელად „მზის კაცი“ , იგივე „ფერადო“ შეარქვა.

კაციც გაუშინაურდა სოფელს, ბავშვები გუნდ-გუნდად დასდევდნენ უცხო ენაზე მოსაუბრე ფერადსამოსიან სტუმარს და ისიც ათასგვარ გასართობს იგონებდა მათთვის: კაკლებით და გირჩებით ჟონგლიორობდა, ცხენისწაბლებით და თხილებით ნაირგვარ ფოკუსებს იგონებდა, ხის დაგრეხილი წკნელებიდან საქანელებს უმართავდა გოგო-ბიჭებს, კოცონზე ტყეში ნაპოვნ ვაშლებს, სოკოს და პანტას ბრაწავდა და უმასპინძლდებოდა, თან ცეცხლის გაჩაღებასთან ერთად ნაცეცხლარის ჩაქრობასაც ასწავლიდა, რომ ტყე არ დაზანებულიყო და ხანძრის კერა არ გაჩენილიყო ზაფხულის ხვატში. ენის უცოდინრობა სულაც არ უშლიდათ ხელს...ბავშვები ხომ სუფთა დაფები არიან და ღრუბელივით ისრუტავენ ახალ ცოდნას. ჰოდა, ერთ ნახვად ღირდა მათი ცქერა, როცა ჟღურტულ-ჭლოპინით და სხეულის სრული პლასტიკითა და სახის მიმიკით გამოხატავდნენ საკუთარ სათქმელს . დღეს ღამე მისდევდა, დაისს- აისი , ზაფხული - გაზაფხულს, ზამთარი - შემოდგომას, კაცი კი სულ ელოდა და ელოდა...

ერთ მშვენიერ დღეს მის ქოხს კვალავ სოფლის წარმომადგენლობა მიადგა, მხოლოდ ამჯერად ჯგუფში მამაკაცებთან ერთად ქალები და ბავშვებიც ერივნენ. ბავშვებს ამდენი ხნის ურთიერთობის წყალობით თითქმის ესმოდათ კაცის ენა და უფროსებს თარჯიმნის სამსახურს უწევდნენ. საუბარი ლამის საათზე მეტ ხანს გაგრძელდა... სოფელი სთავაზობდა კაცს, რომ თუ ის ამ მასალით მათაც ამოუცვლიდა სახლის ფანჯრებს, ისინი მის ცხოვრებას სრულად უზრუნველყოფნენ სოფლად, უფრო უკეთეს სახლში დააბინავებდნენ, ხის სუვენირების თლა და ფარდულში გასაყიდად ჩაბარება აღარ დასჭირდებოდა და სასმელ-საჭმელი და სხვა აუცილებელი ნივთებიც უზრუნველად ექნებოდა.

კაცმა ორივე ფერის თვალი მოწკურა და ერთხანს მდუმარედ გაჰყურებდა ქოხის წინ გორაკს, თან აბურძგნულთმიან კეფას იქექავდა და რაღაც მივიწყებულ მელოდიას უსტვენდა, მერე გაეცინა და ერთ ყველაზე ყოჩაღ ბიჭუნას სთხოვა ეთარგმნა მისი პირობა: ის შეასრულებდა სოფლის თხოვნას უანგაროდ და უფასოდ, თუ ისინი გაუფრთხილდებოდნენ ტყესა და წყალს, არ მოჭრიდნენ ხეებს დაუფიქრებლად, არ მოსპობდნენ ცაში ფრინველსა და წყალში თევზს, დაუნდობელი, ბრაკონიერული მეთოდებით. არ მოწამლავდნენ წყალს, ჰაერს, მცენარეებს და ნიადაგს, არ დააბინძურებდნენ სოფლის ორღობეებს, იზრუნებდნენ მამა-პაპეულ საფლავებზე და სხვა ისტორულ ძეგლებზე, უარს იტყოდნენ პაპიროსზე, და რაც მთავარია, ერთხელ და სამუდამოდ გაიხდიდნენ თალხ სამოსს და ფერად, ნათელ ფერებში შეიმოსებოდნენ...

სოფლელებმა ჯერ გაოცებისაგან მხრები აიჩეჩეს და მერე შეთანხმდნენ... გამოხდა ხანი ...სოფელმა თანდათან იერი იცვალა... წელში გაიმართა, მოღონიერდა, გახალისდა, ადამიანებმა ღიმილს მოუხშირეს, ერთმანეთის მოსმენა და დანახვა ისწავლეს, ბავშვები მომრავლდნენ და ყოველი დღე-ცისმარე, როცა საბავშვო ბაღში ან სკოლაში მიაეშურებოდნენ , მათი მხაირული ჟრიამული იკლებდა შუკებს. ღამით ყველა დიდი თუ მცირე , გზა და ჩიხი განათდა ყანჩასავით ცალფეხზე შემდგარი, ყელმოღერებული ლამპიონებით, აქ ღამით აღრაავის ეშინოდა ერთი სახლიდან მეორემდე მისვლა, ცხოვრება უფრო ლაღი და უსაფრთხო გახდა ...და დღეს, თუ გზას ოდნავ გაიგრძელებთ და ჩვენი ნაცნობი გზიდან სოფელში შეივლით, თვალს წარიტაცებს მზეზე მოელვარე ფერადი კოპწია სახლები თავისი გამწვანებული კარ-მიდამოებითა და ზურმუხტოვანი ეზოებით, ხეხილის ბაღებითა და კოხტად მოპირკეთებული ცივ-ცივი წყაროებით, სუფთა, გაწკრიალებული ორღობეებითა და სოფლის მთავარი წყაროს ულამაზესი ორიგინალური დეკორით, რომელსაც პეპელები და ფუტკრები დაბზუიან და ხარბად წუწნიან ნექტარს. ტყე, ძველებურად ხშირი და დაბურული, ძველებურად შრიალებს და ათასგვარ მცენარეს, ფრინველსა თუ ცხოველს იფარებს თავისი კალთის ქვეშ... ტყე უწინდებურზე

ჯანსაღია, თუმცა ადამიანის ხელშენავლები, ოღონდ არა ეგოისტურად, საკუთრივ სახეიროდ, სასარგებლოდ და საკეთილ;დღეოდ, არამედ ტყის და მისი ბინადრების ინტერესების გათვალისწინებით... უცხო სტუმრები ხშირად აკითხავენ სოფელს, ზოგჯერ გაუთვალისწინებელი მგზავრიც სიამოვნებით ისვენებს გზიდან დასიცხული და სულს ითქვამს წყაროს პირთან.

ფერადსამოსიანი კაცი კი ერთ მშვენიერ დღეს წავიდა, გადაიკარგა სოფლიდან ... არავის დამშვიდობებია, ერთხელაც, სანამ სოფელი გაიღვიძებდა, უთენია ადგა და წავიდა...

ხალხი დიდხანს იხსენებდა ფერადოს... განსაკუთრებით ბავშვებმა მოიწყინეს მის გარეშე ...ცვატას ფარდულის თაროებიც გაღარიბდა და უხარისხო პლასტმასის სათამაშოების იმედად დარჩა, თან სოფელში ფერადოს ამყოლებმა მწეველებმაც გადააგდეს პაპიროსის წევის მავნე ჩვევა და მთლად ჩაუვარდა ცვატას თამბაქოს ბიზნესი...

-ერთხელაც იქნება და ჩამოივლის ჩვენს სოფელზე ჩვენი მზის კაცი - დღესაც ამბობენ წყაროზე...

- ეხლა ალბათ იქაა, სადაც ბუნებას ყველაზე მეტად უჭირს, მარტო ჩვენ ხომ არ გვჭირდება შველა,

- თავს ინუგეშებენ სოფლელები და ყოველ დილით მზის ამოსვლას შეხჰხარიან იმ იმედით, რომ ფერადო აუცილებლად დაბრუნდება უწინდებურად მშრომელი და ენერგიული მათთან ბევრი მზით, ხალისით, ცოდნით და სხვა ახალი ჯერ შეუცნობელი სიკეთით...